ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

IV კვარტალი, 2024 წელი

- [საგზაო უსაფრთხოება]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის (შემდგომში - სამინისტრო) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ამ მიმართულებით მუდმივად ხდება სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, სატელევიზიო ფილმებისა და ციფრული კონტენტის მომზადება, სატელევიზიო ეთერებში სტუმრობა და სხვა. ასევე, სკოლებსა და ბანაკებში ხორციელდება ახალგაზრდა თაობასთან შეხვედრები და მათი ინფორმირება საგზაო მოძრაობის წესების, აგრეთვე, პატრულ-ინსპექტორების ფუნქცია-მოვალეობების, მძღოლებისა და ქვეითების უსაფრთხო გადაადგილების თაობაზე.

8 ოქტომბერი - საგზაო უსაფრთხოებისა და სამინისტროს საპატრულო პოლიციის (შემდგომ - საპატრულო პოლიცია) საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის ქ. თბილისის №182 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ესტუმრნენ, სადაც შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა მოსწავლეებისთვის საინტერესო საკითხები: პატრულ-ინსპექტორის ფუნქცია-მოვალეობები, ქვეითის გადასასვლელითა და შუქნიშნით სარგებლობის წესები, საგზაო უსაფრთხოების მონაწილეთა წესები.

შეხვედრის დასასრულს, ბავშვებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მანქანა და აღჭურვილობა.

25 ნოემბერი - საგზაო უსაფრთხოების თემატიკაზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეხვედრა გამართეს ქ. ქუთაისის ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა „პროგრესის“ მოსწავლეებთან. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა პატრულ-ინსპექტორის ფუნქცია-მოვალეობები, ქვეითის გადასასვლელით და შუქნიშნით სარგებლობის, ასევე, საგზაო უსაფრთხოების მონაწილეთა წესები.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) გააგრძელა საინფორმაციო კამპანია, რომლის

ფარგლებშიც მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე საინფორმაციო ბანერები მომზადდა. კერძოდ:

12 ოქტომბერი - T კატეგორიის მართვის მოწმობის წესი;

2 ნოემბერი - ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები მართვის მოწმობის მისაღებ თეორიულ გამოცდაზე;

9 ნოემბერი - ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები მართვის მოწმობის მისაღებ თეორიულ გამოცდაზე;

18 დეკემბერი - DE კატეგორიის გაცემის წესი.

აღნიშნული ბანერები განთავსდა მომსახურების სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, ასევე, გავრცელდა საინფორმაციო სააგენტოს მიერ.

ხაზგასასმელია, საქართველოსა და ესპანეთს შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების შეთანხმება, რომლის შესახებ, 2 და 8 ოქტომბერს, ტელე-რადიო ეთერების საშუალებით სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა. მან მსმენელს აგრეთვე მიაწოდა ინფორმაცია, როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც უცხოეთში ავტომობილით გადაადგილება გვესაჭიროება.

- [საკანონმდებლო ცვლილება]

22 ოქტომბერი - „მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნებისა და მისი შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის №01-6/ნ-№134 ერთობლივ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების თანახმად, გაფართოვდა იმ სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიების/ქვეკატეგორიების წრე, რომელთა მართვისათვის ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს აღარ ექნებათ დამაბრკოლებელი გარემოება. ცვლილების თანახმად, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს "AM", "A", "B", "BE" კატეგორიებისა და "A1", "A2", "B1""ქვეკატეგორიების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლა შეეძლებათ.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ გვერდებზე.

- ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების დროული გამოვლენა და მათზე ეფექტიანი რეაგირება, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, მომართვიანობის ზრდა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების დახვეწა/გაუმჯობესება.

27 ნოემბერი - სამინისტრო შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიას, რომლის განმავლობაში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მომართვიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

ოქტომბერი - გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) თანამშრომლობით, ადრეულ ასაკში ქორწინების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში დაიბეჭდა ჩანთები და მაისურები. ესეების კონკურსის გამარჯვებულ ბავშვებს კი გადაეცათ „სანტა ესპერანსას“ ვაუჩერები;

18, 21 და 22 ნოემბერი - ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები თემაზე „როგორ ვებრძოლოთ ბავშვთა მიმართ ძალადობას, მათ შორის ონლაინ“.

- სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი

25 ოქტომბერი - სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის (შემდეგში - სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი) სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს ახალციხის განყოფილების ბაზას ახალციხის სხვადასხვა სკოლის სოციალურად დაუცველი ოჯახების მოსწავლეები ესტუმრნენ. მოზარდები გაეცნენ დანაყოფის საქმიანობას და დაათვალიერეს ბაზის ინფრასტრუქტურა. ბაზის ტერიტორიაზე მოსწავლეებისთვის მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის სპეციალური ტრანსპორტი და ტექნიკა, მათ შორის, სამთო და სამხედრო აღჭურვილობა.

4 ოქტომბერი - სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წალკის ბაზას ესტუმრნენ წალკის №11 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც გაეცნენ დანაყოფის საქმიანობას და დაათვალიერეს

ბაზის ინფრასტრუქტურა. ბაზის ტერიტორიაზე მოსწავლეებისთვის მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის სპეციალური ტრანსპორტი და ტექნიკა, მათ შორის, სამთო და სამხედრო აღჭურვილობა.

აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე.

- [სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური]

4 ოქტომბერი - სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) თანამშრომლებმა ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალში სახანძრო-საევაკუაციო სიმულაციური სწავლება ჩაატარეს.

სიმულაციური სწავლება საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების, ხანძრის ქრობისა და ევაკუაციის სავარჯიშოებს მოიცავდა. აღნიშნულის ფარგლებში, მეხანძრე-მაშველების მიერ შესაბამისი სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენებით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება განხორციელდა. შენობიდან მოქალაქეთა ევაკუაციის მიზნით, ასევე, გამოყენებულ იქნა სამაშველო ბატუტიც.

ღონისძიებაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ საპატრულო და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების, ასევე, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლები.

აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

9 ოქტომბერი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, მეხანძრე-მაშველებმა, ეროვნული გვარდიის რეზერვისტები საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიმართულებით გადაამზადეს როგორც პრაქტიკულ, ისე, თეორიული მიმართულებით. ეროვნული გვარდიის 60 რეზერვისტმა სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით, სასიმაღლო-სამაშველო სამუშაოების განხორციელება და დაზარალებულთა ევაკუაციის მეთოდები შეისწავლეს.

აღნიშნული სწავლებები სისტემატურ ხასიათს ატარებს და უწყებათშორისი თანამშრომლობის გაძლიერებას, კოორდინირებული მოქმედებების დახვეწას, ასევე, სტიქიური უბედურებისა და კატასტროფების დროს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

ინფორმაცია გამოქვეყნდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

12 ოქტომბერი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ მოზარდთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, თბილისის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე №200 საჯარო სკოლაში თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაატარეს.

თეორიული სწავლების ფორმატში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესებისა და რეაგირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო საგანგებო სიტუაციის სიმულაცია, რომლის ფარგლებშიც, მეხანძრე-მაშველებმა რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება და დაშავებულის შენობიდან ევაკუაცია განახორციელეს.

ინფორმაცია გამოქვეყნდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

2 ნოემბერი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების და სახანძრო-სამაშველო ძალების თანამშრომლებმა, ქუთაისში, ხონსა და სენაკში თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის კურსანტები გადაამზადეს.

თეორიული და პრაქტიკული სწავლების ფარგლებში, მონაწილეებმა ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების დროს უწყებების კოორდინირებული თანამშრომლობა და ტყის ხანძრების დროს ტაქტიკური მოქმედებები შეისწავლეს. სწავლების მიმდინარეობისას, კურსანტები სახანძრო-სამაშველო სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის ტექნიკურ მახასიათებლებს და მათი გამოყენების სპეციფიკას გაეცნენ. სწავლების მიზანს უწყებებს შორის საგანგებო სიტუაციების დროს კოორდინირებული მუშაობის დახვეწა წარმოადგენდა.

ინფორმაცია გამოქვეყნდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

- [საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“]

22 ოქტომბერი - სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს (შემდგომში - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ - ფარგლებში ოქტომბრის თვეში, საჯარო და კერძო სკოლების 200-ზე მეტი მოსწავლე ეწვია.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის წარმომადგენლებმა მოზარდებს გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები გააცნეს. მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ მსგავსი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ „112“-ის ოპერატორთან. მოზარდებს, ასევე, განემარტათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და სანქციები, რომლებიც ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაშია გათვალისწინებული.

ინფორმაცია განთავსდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ - ის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

27 დეკემბერი - ანალოგიური ვიზიტები შედგა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში ნოემბერი - დეკემბრის თვეშიც. პროექტის „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლის 1000-ზე მეტი მოსწავლეს ინფორმირება მოხდა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ინფორმაცია განთავსდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ - ის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.